

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

შემაცველი

წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია)
(მოხსენება 150 წლისთავისადმი
მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე)

თბილისი
2011

UDC(უაკ)27-36+271.22-726.1

გ-19

იბეჭდება მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის
ჭყონდიდელი მიტროპოლიტის პეტრეს (ცავა)
ლოცვა-კურთხევით

რედაქტორი: ნანა კვარაცხელია

კომპიუტერული მომსახურეობა: დავით დარასელია
დამკაბადონებელ-კორექტორი: ირაკლი ბელთაძე

isbn 978-9941-0-3929-4

უნმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კა-
თოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპო-
სის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის **ილია**
მეორის ლოცვა-კურთხევით 2011 წლის 17 ოქტომბერს
საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და აფხაზეთის ავტონო-
მიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით წმინდა
სამების საკათედრო ტაძარში ჩატარდა გამოჩენილი სასულიე-
რო და საზოგადო მოღვაწის, მეცნიერისა და პუბლიცისტის, აფხ-
აზეთის (ილორის) მკვიდრის **წმინდა აღმსარებელი ამბროსის**
(ხელაია) დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო
სხდომა. ესწრებოდნენ სამღვდელოების, ფართო საზოგადოებ-
ისა და სამეცნიერო წრების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბ-
ლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა **ელგუჯა**
გვაზავამ. მან ხაზი გაუსვა წმინდა აღმსარებელი ამბროსის
უდიდეს დამსახურებას ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს,
აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის, მათ შორის აფხაზ-
თა წინაშე, რომლის ინტერესებსაც ის მუდმივად იცავდა.

საზეიმო სხდომა დალოცა **ჭყონდიდელმა მიტროპოლიტ-**
მა პეტრემ (ცავა). მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ
აღნიშნა, რომ საქართველოს მუდამ ჯვარცმული მეფეები და
პატრიარქები ჰყავდა, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე
საპატიო ადგილი **წმინდა აღმსარებელ ამბროსის** უჭირავს.

წმინდა აღმსარებელი ამბროსის ცხოვრებისა და მოღ-
ვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება წარმოადგინა ისტორი-
ის დოქტორმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღ-
ლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა **ჯემალ გამახარიამ**.

წმინდა აღმსარებელი ამბროსის სასულიერო, სამეცნიერო
და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ცალკეულ ასპექტებზე
ისაუბრეს მწერალმა გიორგი გაჩეჩილაძემ, პროფესორებმა
ოთარ უორდანიამ, ზურაბ პაპასკირმა, სერგო ვარდოსანიძემ,
წმინდანის თანამემამულემ, ოჩამჩირის მკვიდრმა, ცნობილმა
ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ **ზურაბ ჩიქოვანმა**.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმა და მადლობა
გადაუხადა წმინდა აღმსარებელი ამბროსის შვილთაშვილმა,

ხელოვნებათმცოდნე ანა კლდიაშვილმა.

სხდომის დასასრულს მისმა მონაწილეებმა უწმინდეს და უნეტარეს იღია მეორეს შემდეგი მიმართვა გაუგზავნეს:
„თქვენო უწმინდესობავ!

გამოჩენილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის წმინდა აღმსარებელი ამბროსის (ხელაია) 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, ითვალისწინებს რა ამ დიდი მამულიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უფრო საფუძვლიანი შესწავლა-პროპაგანდის აუცილებლობას, მოგმართავთ, პერიოდი 2011 წლის 19 ოქტომბრიდან 2012 წლის 19 ოქტომბრამდე გამოაცხადოთ წმ. ამბროსის წლად.”

მიღებულია ერთხმად.

მაღალყოვლადუსამღვდელოესნო ქართული სამოციქულო
ეკლესიის მღვდელმთავარნო!

მაღალღირსნო მამანო!

ქალბატონებო და ბატონებო!

საქართველოს ისტორიაში, რომელიც მნიშვნელოვანნილად
წმინდანებისა და გმირების ისტორიას წარმოადგენს, უთვალსაჩი-
ნოესი ადგილი სამუდამოდ დაიმკვიდრა გამოჩენილმა სასულიე-
რო და საზოგადო მოღვაწემ, მეცნიერმა და პუბლიცისტმა, 1921-
1927 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა,
უნმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ, ერისკაცობაში - ბესარიონ
ხელაიამ. მან განვლო ჭეშმარიტად მოწამებრივი, ეკლიანი ცხოვრე-
ბისეული გზა, რომელიც სოხუმის ეპარქიაში დაიწყო. წმ. ამბროსის
წინაპრები სამეგრელოსა და აფხაზეთის შთამომავლობითი
მღვდელმსახურები იყვნენ. 1810-1833 წლებში სენაკის მაზრის სოფ.
ინჩხურის (ამჟამად მარტვლის რ-ნი) პირველი წმ. გიორგის ეკლესი-
ის ჯერ დიაკონი და მერე მღვდელი გაბრიელ ხელაია (ხელაძე) ვახ-
ლდათ მისი დიდი ბაბუა, რომლის გარდაცვალების შემდეგ 1833
წელს სამეგრელოს მიტროპოლიტმა დავით წერეთელმა,
საქართველოს ეგზარქოს მოისეის (ბოგდანოვ-პლატონოვი) თანხ-
მობით, იმავე ეკლესიის მღვდლად დავით გაბრიელის ძე ხელაია -
წმ. ამბროსის ბაბუა აკურთხა. XIX ს. 30-40 - იანი წლების მიჯნაზე
დავით ხელაია და მისი ძმა, ასევე მღვდელი ეგნატე ხელაია აღ-
მოჩნდნენ იმ სასულიერო პირთა შორის, რომლებიც აფხაზეთში
მისიონერებად გაიწვიეს. დავითი მსახურობდა სამურზაყანოში,
ეგნატე - კოდორში, კერძოდ, სოფ. ეშქეთში (აკვასქაში). მასთან
სასულიერო განათლებას იღებდა ძმისშვილი - დავით ხელაიას უმ-
ცროსი ვაჟი, 1831 წელს დაბადებული ზოსიმე - წმ. ამბროსის მამა.
დავით ხელაიას კიდევ ერთი ვაჟიშვილი, 1826 წელს დაბადებული
ვასილი 1846 წლიდან მოქვის სახელგანთქმული ტაძრის მედავით-
ნედ მსახურობდა. 1851 წლის 15 სექტემბერს სრულიად ახალგაზრ-
და ვასილ ხელაია გარდაიცვალა - გარდაიცვალა იმ დღეს, როდე-
საც აფხაზეთის ეპისკოპოსმა გერმანე გოგელაშვილმა მისი კან-
დიდაგურა საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს (ნიკოლასკი) მო-
ქვის სამრევლოს მღვდლის ვაკანსიაზე დასამტკიცებლად წარუდ-
გინა. გარდაცვლილი ძმის ადგილი მოქვის ტაძრის მედავითნისა

1851 წელსვე ზოსიმე ხელაიამ დაიკავა და 1860 წლამდე ამ ისტორიულ სოფელში აფხაზთა განათლების საქმეს ემსახურებოდა. 1860 წლის 15 იანვარს სამეგრელოსა და აფხაზეთის ეპისკოპოსმა გერონტი პაპიტაშვილმა ზოსიმე ილორის წმ. გიორგის ეკლესიის დიაკვნად, იმავე წლის 23 იანვარს კი მღვდლად აკურთხა. ამ პერიოდიდან ხელაიების ცხოვრება და მოღვაწეობა ილორის წმ. გიორგის ეკლესიას და სოფელ ილორს უკავშირდება. ხელაიებს აქ ჰქონდათ საკუთარი სახლ-კარი, ილორშია მათი საძვალეც. აქ არიან დაკრძალული წმ. ამბროსის ბაბუა და ბებია (დავით ხელაია და რუსუდან ფუტკარაძე), მშობლები - ზოსიმე ხელაია და მზეხა ნიკოლოზის ასული (დედის გვარი ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია), მეუღლე - ელიზავეტა (კესარია) მერქულე, ძმები - გიორგი და პორფირი, შვილი - ანდრია და ა.შ.

ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის ზოსიმე ხელაიას და მისი მეუღლის მზეხა ნიკოლოზის ასულის ოჯახში 1861 წლის 7 (19) ოქტომბერს დაიბადა უფროსი ვაჟი ბესარიონი. ის დაიბადა სოფელ ინჩხურში, რაც, სავარაუდოდ, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ დედამ, მაშინ მიღებული წესისამებრ, პირველი შვილი საკუთარი მშობლების სახლში მოუვლინა ქვეყნიერებას. პატარა ბესარიონი ილორში გაიზარდა, პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. 1872 წელს ძმებმა ბესარიონმა და გიორგიმ ოჩამჩირის სამრევლო სკოლა დაამთავრეს და სწავლა მარტვილის სასულიერო სასწავლებელში გააგრძელეს, რომელიც 1879 წელს წარმატებით დაასრულეს. სასწავლებლის გამგეობის 1879 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება ბესარიონისა და გიორგის პირველ თანრიგოსან კურს-დამთავრებულებად აღიარების შესახებ დამტკიცებულია იმერეთის ეპისკოპოსისა და აფხაზეთის ეპარქიის მმართველის წმინდა მღვდელმთავარ გაბრიელის (ქიქოძე) მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ილორში (1868 და 1870 წლებში), ისე მარტვილში (1879წ.) ბესარიონ ხელაიას ჰქონდა წმ. მღვდელმთავარ გაბრიელთან შეხვედრის არაერთი შესაძლებლობა. ამ შეხვედრებიდან მიღებული შთაბეჭდილება მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. ბესარიონ ხელაიას ისიც კარგად ახსოვდა, რომ 1879 წელს უკვე თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩარიცხულმა ძმებმა განცხადებას სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე თან დაურთეს ეპ. გაბრიელის მიერ გაცემული შემდეგი მონმობა: „მონმობა ესე ეძლევა ჩემ-

გან მისივე თხოვნით აფხაზეთის ეპარქიის ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელს ზოსიმე ხელაიას იმაზედ, რომ სილარიბისა და ოჯახის წევრთა მრავალრიცხოვნობის გამო არ შეუძლია თავის შვილებს ბესარიონს და გიორგის საკუთარი სახსრებით მიაღებინოს განათლება რომელიმე სასწავლო დაწესებულებაში, რასაც ხელმოწერითა და ბეჭდით ვამოწმებ. ქ. ქუთაისი, 1879წ. 7 ივნისი". 1880 წლის 1 მაისიდან ბესარიონს სტიპენდია მართლაც დაენიშნა, რამაც მისცა საშუალება 1885 წელს წარმატებით დაემთავრებინა თბილისის სასულიერო სემინარია (გიორგი მესამე კლასში, 1881წ. 6 აპრილს გარდაიცვალა), სადაც მან საფუძვლიანი განათლება მიიღო; აქვე ეზიარა ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის, დიდი ილიას იდეებს.

სტუდენტის წოდებით სემინარიის დასრულების შემდეგ ბესარიონი ილორში დაბრუნდა, ოჯახური პირობების გამო იძულებული გახდა ხელი აეღო ოცნებაზე საუნივერსიტეტო განათლების მიღების შესახებ, დაქორწინდა თანასოფლელ ელიზავეტა ალექსის ასულ მერჭულეზე და მალევე შეუდგა აღმსარებლობისკენ მიმავალ ეკლიან გზას. სოხუმის ეპისკოპოსმა გენადიმ (ვაკლინსკი) 1887 წლის 25 მარტს იგი სოხუმის საკათედრო ტაძრის დიაკვნად, 19 აპრილს კი სოჭის მიქაელ მთვარანგელოზის ეკლესიის მღვდლად აკურთხა. აქ მან 5 წელი იმსახურა, შეეძინა სამი შვილი - ანდრია (რომელიც მალევე გარდაიცვალა), ნინო და ალექსანდრე. სოჭში მსახურობდა ბესარიონ ხელაია, როცა გაზეთ „ივერიაში“ (1890, 30 აპრილი) გამოჩნდა ჩვენთვის ცნობილი მისი პირველი პუბლიკაცია მისიონერ ამბროსი კავკასიძის გუდაუთაში სტუმრობის შესახებ. 1892 წლის 29 სექტემბრიდან 1897 წლის 15 ნოემბრამდე მამა ბესარიონი მსახურობდა სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდლად, სოხუმის ეპარქიის პირველი ოლქის ანუ გუდაუთის უბნის მთავარხუცესად (ბლაღოჩინად), საკათედრო ტაძრის კანდილაკად. გარდა ამისა, ის გახლდათ საეპარქიო საეკლესიო-არქეოლოგიური კომისიის წამდვილი წევრი და ხაზინადარი, დავრდომილ სასულიერო პირთათვის სამზრუნველოს წევრი და ხაზინადარი, საეპარქიო სარევიზიო კომისიის მუდმივი წევრი, სოხუმის მთიელთა სკოლის სჯულისკანონის მასწავლებელი, საეპარქიო სასწავლო საბჭოს საქმისმნარმოებელი ანუ მდივანი, კავკასიაში მართლმადიდებლობის

აღმდგენი საზოგადოების სკოლების ზედამხედველი სოხუმში, ახალ ათონსა და ლიხნში, სამღვდელო და სადიაკვნო კანდიდატთა გამომცდელი კომისიის წევრი.

სოხუმის ეპარქიაში ბესარიონ ხელაიას მოღვაწეობის პერიოდი და ემთხვა ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის თითქმის 20 წლიანი ბრწყინვალე ეპოქის დასასრულს და რუსი მღვდელმთავრების თარეშის, ასიმილატორულ-შოვინისტური პოლიტიკის გამკაცრების, რეგიონში ყოველივე ქართულის აკრძალვის, აფხაზებსა და ქართველებს შორის ეროვნული შუღლის ხელოვნურად პროვოკირების შავპნელ ხანას. განსაკუთრებით აუტანელი ვითარება შეიქმნა 1895 წლიდან, როდესაც სოხუმის კათედრა უკიდურესმა შოვინისტმა არსენ იზოტოვმა (1895-1905წ.). ჩაიბარა. იმავე 1895 წლის აღდგომაზე რუსმა მღვდელმთავარმა სოხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკს ბიბლიის ქართულ ენაზე წაკითხვა აუკრძალა იმ მოტივით, რომ „აქ საქართველო არ არის“. ამაზე ბესარიონ ხელაიას პასუხი ასეთი იყო: „აქ საქართველოა და არა რუსეთი და წირვა-ლოცვაც ქართულად უნდა იყოს“. მამა ბესარიონი თედო სახოიასთან, აკაკი ჩხენეკელთან, ანთიმოზ ჯუღელთან და სხვა აფხაზეთელ პატრიოტებთან ერთად გაერთიანებული იყო უანდარმების მიერ „ქართულ პარტიად“ მონათლულ ორგანიზაციაში, რომელიც ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა შოვინისტთა შემოტკვას. შესაბამისად გაძლიერდა მისი დევნა - შევიწროება როგორც სასულიერო, ისე საერო მთავრობის მხრიდან. ამას დაემატა ოჯახური ტრაგედია - მეუღლის გარდაცვალება 1896 წელს. მამა ბესარიონი იძულებული გახდა მეტი ყურადღება დაეთმო მცირებლოვანი შვილების აღზრდისათვის, რომელთა შორის უმცროსი ანა ერთი წლისაც არ იყო. მამისა და ძმის, 1895 წლიდან წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის პორფირ ხელაიას თანადგომით ბესარიონმა მიიღო გადაწყვეტილება სოხუმის ეპარქიის დატოვებისა და ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის გაგრძელების შესახებ. 1897 წელს ის აღნიშნული აკადემიის სტუდენტი გახდა და დიდი ხნით მოუნია სოხუმის დატოვება, სადაც ის თვალსაჩინო სასულიერო და საზოგადო მოღვაწედ ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, 1918წ. 1 სექტემბერს სოხუმის საკათედრო ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაში მან თავად ასე შეაფასა აქ გატარებული წლების მნიშვნელობა მის ცხოვრებაში: „სოხუმი ჩემთვის განსაკუთრებით დაუვინყარია. აქ

აღმეხილა მე პირველად გონების თვალი, აქ ვმისახურობდი როგორც მოძღვარი და კიდეც თქვენშიც ვხედავ ნაცნობ პირებს, რომელთ-ანაც მქონია სულიერი კეთილი განწყობილება. აქ გავიგე და შევიგნე ჩვენი ეკლესიის მონობაში ყოფნის აუტანლობა, მდგომარეობის სიმწვავე, - ის რომ მორწმუნე ერი გამეფებული არაქრისტიანული რეჟიმის გამო ჩქარის ნაბიჯით მიექანებოდა გაურწმუნოების გზა-ზე. აქ გადაგვარება-გარუსების პოლიტიკა უკიდურესად იყო გამეფებული. აქ ჩამესახა პროტესტის გამოცხადების აუცილე-ბლობა. აქედან - სოხუმიდან იწყება ჩემი ეკლიანი გზით სიარული, აქ იყო დასაბამი ჩემი ტანჯვა-დევნულობა-ვაება-უბედურებისა. მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ სოხუმი იყო აგრეთვე დასაბამი ჩემი ახლანდელი შედარებით ბედნიერებისა, ვინაიდან მე ბედნიერათ მიმაჩნია ჩემი თავი, რომ ვიხილე ის, რასაც ელტვოდნენ ბევრნი მამულისშვილნი, მაგრამ ვერ იხილეს. ე.ი. მაქვს საშუალება თქვენ-თან ერთად გავიზიარო ბედნიერება ეკლესიურად და ეროვნულად თავისუფლებაში ყოფნისა”.

მამა ბესარიონმა თავიდანვე მიიბყრო ყაზანის სასულიერო აკადემიის პროფესურისა და სტუდენტების ყურადღება. 1898წ. 14 იანვარს - წმ. ნინოს ხესნების დღეს პირველი კურსის სტუ-დენტმა მღვდელმა ბესარიონ ხელაიამ მესამე კურსის სტუდენ-ტის მთავარდიაკონ დავით კაჭახიძის თანამწირველობით აკა-დემიის ეკლესიაში პედაგოგებისა და სტუდენტების თან-დასწრებით ქართულად სწირა. ამ ფაქტის შესახებ ვრცელი წერილები გამოაქვეყნეს ჟურნალმა „ცერკოვნიე ვედომოსტი“ (1898, 31 იანვერი, 5), იმპერიის ოფიციალურმა გაზეთმა „პრავ-იტელსტვენნი ვესტნიკ“ (1898წ. 5 (17) თებერვალი) და „ივერი-ამ“ (1898, 12 თებერველი). რუსული პრესის განსაკუთრებული ყურადღება მიიბყრო განსხვავებამ ქართულ და რუსულ ლვთისმსახურებას, ქართულ და რუსულ გალობას შორის.

სასულიერო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი ბესარიონ ხე-ლაია პირველად წარსდგა ფართო საზოგადოების წინაშე როგორც ნიჭიერი მეცნიერი და პუბლიცისტი, როდესაც მან გაზეთ „ჩერნო-მორსკიე ვესტნიკის“ ფურცლებზე 1899 წლის 6 მაისს და 17, 18, 19 ივნისს „სამურზაკანეც“-ის ხელმოწერით გამოაქვეყნა წერილები „სამურზაყანოელის ხმა“ და „პასუხი ბ-ნ მაჭავარიანს“. მაშინ გაიმ-ართა პირველი ლია დისკუსია აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ის-

ტორიის საკითხებზე. ერთმანეთს კონსტანტინე მაჭავარიანი და ბესარიონ ხელაია უპირისპირდებოდნენ. პირველი, ეყრდნობოდა რა ხანდაზმული აფხაზის მონათხრობს, ასევე ოცამდე გვარის ანალიზს, ამტკიცებდა, რომ მდ. ენგურის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორია ეთნიკურად არასოდეს წარმოადგენდა საქართველოს ნაწილს(?!). ბესარიონ ხელაია, პირიქით, იმ დროის-ათვის ცნობილ ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებზე, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურაზე მითითებით ასაბუთებდა, რომ აფხაზეთის უძველესი მაცხოვრებლები ქართველები იყვნენ. მამა ბესარიონსა და კ. მაჭავარიანს შორის გამართული დისკუსიის მთავარი თემები დღემდე აქტუალურია. მონინააღმდეგე მხარე ძირითადად კ. მაჭავარიანის „არგუმენტების“ ამარაა დარჩენილი. ქართული მხარე ამჟამადაც ყოველივე ამას, მამა ბესარიონის მს-გავსად, ისტორიული წყაროებით უპირისპირდება. აღნიშნული დისკუსიის მასალები საკსეპით ინარჩუნებენ ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას. კონსტანტინე მაჭავარიანს შეიძლება ეწოდოს აფხაზეთის სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ბესარიონ ხელაია კი - აფხაზეთის მეცნიერული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

1900 წლის 11 იანვარს მღვდელი ბესარიონ ხელაია ბერად აღიკვეცა ამბროსის სახელით. 1901 წლის ივნისში დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია, ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში.“ აფტორის მიზანს წარმოადგენდა ქრისტიანული სამყაროს წინაშე ქართული ეკლესიის ისტორიული დამსახურებების ჩვენება, გაშუქება მის მიერ განვლილი სახელოვანი გზისა, რომელიც, როგორც დისერტაციი წერდა, XIX ს. დასაწყისში დასრულდა ავტოკეფალიის განადგურებითა და რუსეთის ეკლესიასთან გაერთიანებით.

ყაზანის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ მღვდელმონაზონი ამბროსი საქართველოში, კერძოდ, თბილისში დაბრუნდა. დროებით იგი თბილისის ფერისცვალების მონასტერში ჩაირიცხა, მცირე ხანს მისი მმართველის მოვალეობასაც ასრულებდა. მღვდელმონაზონი ამბროსი 1902 წლის 29 იანვარს ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა არქიმანდრიტის ხარისხში აყვანით. არქიმანდრიტის ხარისხში მისი აყ-

ვანა მოხდა 1902წ. 3 მარტს, მონასტრის წინამძღვრის მოვალე-ობის შესრულებას კი 7 მარტს შეუდგა.

ჭელიშის მონასტერში მოღვაწეობის პერიოდი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა მამა ამბროსის სასულიერო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ახალი წინამძღვრის ძალისხმევით მონასტერმა მოკლე დროში დაიწყო აღორძინება როგორც რაჭის რეგიონის სასულიერო-საგანმანათლებლო კერამ და ეროვნულ-პატრიოტული ღონისძიებების ცენტრმა. მონასტერში, აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმის სხვა ტაძრებში არქიმან-დრიტმა ამბროსიმ უნიკალური ისტორიული ხელნაწერები აღმოაჩინა, მათ შორის XI საუკუნის ოთხთავი, ქართლის მოქცევის ადრე უცნობი ვარიანტი, მრავალი სხვა მასალა. როგორც ცნობილია, მოგვიანებით ეს მასალა მამა ამბროსიმ მეცნიერულად დაამუშავა და გამოაქვეყნა კიდევაც. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე 1907წ. 28 დეკემბერს წაკითხული მოხსენება „ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“ 1909 წელს ე. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოსულ კრებულში „ძველი საქართველო“ (ტ.1) დაიბეჭდა და გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა მოწონება დაიმსახურა. რაჭა-ლეჩხუმში მოძიებული სხვა მასალების საფუძველზე მამა ამბროსიმ 1915-1917 წლებში, ქართულ უურნალებში („განთიადი“, „ცხოვრება“) გამოაქვეყნა წერილების მთელი სერია საერთო სათაურით „მოგაზურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

მამა ამბროსის მოღვაწეობა ჭელიშის მონასტერში, ამის თაობაზე გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული არაერთი წერილისა და ინფორმაციის წყალობით, ცნობილი გახდა ქართული საზოგადოებისათვის. მაშინ გაიცნო და შეიყვარა იგი სრულიად საქართველომ. წმ. ამბროსის საქმიანობის კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი მხარე ქართული საზოგადოებისთვის ცნობილი არ იყო, სამაგიეროდ ამის შესახებ სრულ ინფორმაციას ფლობდა საერო და სასულიერო მთავრობა. 1903 წლის აპრილის მეორე ნახევარში ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცი) ცნობილ ქართველთმოძულე იოანე ვოსტორგოვთან ერთად მთელი დასავლეთ საქართველო შემოიარა, აქედან ერთი კვირა აფხაზეთში გაატარა. თბილისში დაბრუნებისთანავე, ეგზარქოსმა უნდ. სინოდის ობერ-პროკურორის კ. პობედონოსცევის

სახელზე სრულიად საიდუმლო წერილი აფრინა, რომელშიც ნათქვამია: „სოხუმის ოკრუგის უფროსმა მაცნობა, რომ მის-დამი რწმუნებული ოკრუგის აფხაზებითა და მეგრელებით დასახლებულ სოფლებში ძალიან ჩამოდის იმერეთის ეპარქიის ჭელიშის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, რომელსაც სოფლიდან (ჭელიშიდან - ჯ.გ.), ალბათ, იმერეთის ყოვლადსამღვდელო (ეპ. ლეონიდე - ჯ.გ.) უშვებს. არქიმანდრიტი ამბროსი ყოველთვის საიდუმლოდ ჩამოდიოდა; სანაპიროზე მას ხვდებოდნენ ადგილობრივი მთავრობის მიერ საეჭვოდ მიჩნეული პირები, რომლებიც გამოირჩევიან რუსოფონით და რუსული მთავრობის გამაერთიანებელი მისწრაფებებისადმი წინააღმდეგობის გაწევით. მამა ამბროსი მართავს რაღაც საიდუმლო თათბირებს, საიდუმლოდ მოგზაურობს სოფლებში და ყოველთვის მისი მოგზაურობების შედეგად სოფლელები იღებენ გადაწყვეტილებებს და თხოვნებს სკოლებში ქართული ენის სწავლების შემოღების შესახებ.” ეჭვსგარეშეა, ეგზარქოს ალექსის ეს წერილი გახდა მაშინ საფუძველი ამბროსი ხელაიას რუსეთში გადასახლებისა. სხვათა შორის, იმავე წერილში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრეც (ოქროპირიძე)იყო დადანაშაულებული „რუსი ხალხისადმი და რუსული ხელისუფლებისადმი” კრიტიკულ დამოკიდებულებაში, რისთვისაც 1903 წლის ნოემბერში იგი სამსახურიდან დაითხოვეს და პენსიაზე გაუშვეს. უფრო ადრე - 1903წ. 6 სექტემბერს, უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, არქიმანდრიტი ამბროსი დონის ეპარქიის უსტ-მედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა.

ახალ სამსახურს მისთვის ჩვეული სერიოზულობითა და მონდომებით მოეკიდა. უსტ-მედვედიცკაიაში წმინდა ამბროსის მოღვაწეობის შესახებ წარმოდგენას გვიქმნიან პედაგოგებისა და მოსწავლეთა წინაშე მისი გამოსვლები, სასწავლებლის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგებები, რომელთა ნაწილი (ორ ათეულზე მეტი) საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. პირველ რიგში, ქართველი ზედამხედველის კატეგორიული მოთხოვნით, იმუამინდელი რუსული განათლების სისტემისთვის დამახასიათებელი მეტისმეტი სიმკაცრე უსტ-მედვედიცკაიას სასწავლებელში მოსწავლეებისადმი ჰუმანური და რბილი დამოკიდებულებით შეიცვა-

ლა. ამ სიახლემ, როგორც წმ. ამბროსი თავად აღნიშნავდა, კარგი შედეგი გამოიღო, მოსწავლეები უფრო მორჩილები და ბეჯითები გახდნენ. ძალიან საინტერესოა იმ პერიოდში წარმოთქმული ქადაგებები, რომლებიც გარდა წმინდა რელიგიური, თეოლოგიური საკითხებისა, ეხება რუსეთ-იაპონიის ომის, ზოგადად ომისა და მშვიდობის, რუსეთის პირველი რევოლუციის, მისი მიზეზების, სწავლა-განათლებისა და მოსწავლეთა აღზრდის პრობლემებს. როგორც თავისუფლებააყრილი ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლი შვილი, ამბროსი ხელაია თავის ქადაგებაში რუსეთის იმპერატორის 1905წ. 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადებასთან დაკავშირებით გატაცებით საუბრობდა „უფლის საჩუქარზე“ - თავისუფლებაზე, ცხოვრებაში მისი განხორციელების აუცილებლობაზე. ყველა მის ქადაგებას წითელ ზოლად გასდევს მოწოდება ქრისტიანული მოვალეობების, უფლის მცნებათა შესრულებისაკენ.

უსტ-მედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებლის ქართველი ზედამხედველისთვის განუყოფელი იყო განათლება და სარწმუნოება, როგორც თავად ბრძანებდა, „გონებისა და გულის განათლება“. ის იყო უაღრესად ჰუმანური და სამართლიანი ხელმძღვანელი, მოკლე დროში დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა სასწავლებლის პედაგოგთა და მოსწავლეთა შორის, დონის ეპარქიის ხელმძღვანელობის წინაშე. 1905წ.6 მაისს ამბროსი ხელაია წმ. ანას II ხარისხის ორდენითაც დააჯილდოვეს. მიუხედავად ყოველივე ამისა, მის მთავარ მიზნად და ოცნებად სამშობლოში დაბრუნება რჩებოდა, რის შესახებაც წერდა კიდევაც უურნალ „მწყემსში“ 1905წ. 30 მაისს (9-10) ეპისკოპოს დიმიტრი აბაშიძის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ წერილში.

რუსეთის 1905-1907 წლების პირველმა დემოკრატიულმა რევოლუციამ საქართველოდან გასახლებულ მამულიშვილებს ეპ. კირიონს და არქიმანდრიტ ამბროსის სამშობლოში დაბრუნების საშუალება მისცა. ეპისკოპოს ლეონიდე იქროპირიძის ინიციატივით და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შუამდგომლობით, უწმ. სინოდმა 1905 წლის 24 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება არქიმანდრიტ ამბროსის სინოდალური კანტორის წევრად და ოთანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამდღვრად დანიშვნის შესახებ. უსტ-მედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებელმა თავის ქართველ ზედამხედველს გულისამაჩუქებელი გაც-

იღება მოუწყო. 1906 წლის დასაწყისში ამბროსი ხელაია სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაერთო იმ დროისთვის ფართოდ გაშლილ მოძრაობაში ქართული ეკლესიის ავტოკეფალის აღსადგენად. ავტოკეფალისტთა მოძრაობა კი წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის წარმოებული საერთოეროვნული ბრძოლის შემადგენელ ნაწილს. დიდია წმ. ამბროსის წვლილი და დამსახურება როგორც ამ ბრძოლაში, ისე შოვინისტურ-იმპერიული სახელმწიფო და საეკლესიო პოლიტიკის მხილებაში. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია 1906 წლის მაისში გამოქვეყნებული მისი წარმომი „სტატიისა გამო „ხმა სოხუმიდან“, რომელიც XX ს. დასაწყისის ქართული პუბლიცისტიკის უბრნყინვალესი ნიმუშია. ვინაიდან რუსეთის პოლიტიკას საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის მიმართ არსებითი ცვლილება არ განუცდია, აღნიშნული პოლიტიკის ამბროსი ხელაიასეული საფუძვლიანი კრიტიკა გარკვეულწილად დღემდე აქტუალურია. მისი გაცნობა და ღრმა გააზრება სასარგებლო იქნება როგორც ქართული, ისე განსაკუთრებით რუსული საზოგადოებისთვის, სასულიერო, პოლიტიკური და სამეცნიერო წრეებისთვის.

არქიმანდრიტი ამბროსი მალე იქცა მნიშვნელოვან ფიგურად საქართველოში, საერთოეროვნული მასშტაბის სასულიერო და საზოგადო მოღვაწედ, ქართველი ხალხის ერთ-ერთ წინამძღვლად ეკლესიური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში. როგორც მისი მეგობარი და თანამოაზრე რაფიელ ივანიცკი წერდა, ამბროსი ხელაია არ იყო ცალმხრივი სასულიერო მოღვაწე, არამედ იმავდროულად „თვალსაჩინო პოლიტიკური ინტერესსაც იჩენდა, განსაკუთრებით ეს შესახებ საქართველოს საქმეთა... ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში ის - მაშინ უბრალო არქიმანდრიტი - გველინება ფიგურად, რომლის ირგვლივ თავს იყრის მთელი მოწინავე და განათლებული ქართველი სამღვდელოება“. ქართული ეკლესიის ავტოკეფალის აღდგენა წმ. ამბროსისთვის იყო არა ბრძოლის საბოლოო მიზანი, არამედ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინაპირობაც. 1907წ. 8 სექტემბერს სიონის ტაძარში წმ. ილია მართლის ცხედართან წარმოთქმულ სიტყვაში დამსწრე საზოგადოებას მან მოუწოდა, „შევფიცოთ ამ წინამდებარე ცხედარს, რომ ვიქნებით ნამდვილი აღმსრულებლები იმ ცნებებისა, რომელიც განსვენებულმა თავისი მოღვაწეობით გვი-

ანდერძა ჩვენ”. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ წმ. აღმსარებელი ამბროსი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა წმ. ილია მართლის „ცნებების” განხორციელებისთვის ერთ-ერთ ყველაზე თანმიმდევრულ და თავგანწირულ მებრძოლად.

მამა ამბროსი ზედმინევნით ასრულებდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრის მოვალეობასაც, აგრეთვე მრავალ სხვა დავალებას. კერძოდ, 1906წ. 3 მარტს იგი საქართველოს ეპარქიის დავრდომილ სასულიერო პირთა სამზრუნველოს თავმჯდომარედ, იმავე წლის 9 მაისს - საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრად და თავმჯდომარის თანაშემწედ დაინიშნა; იყო სამღვდელო, სადიაკვნო და სამედავითნეო კანდიდატთა გამომცდელი კომისიის, მცხეთის საპატრიიარქო ტაძრის აღმდგენი კომიტეტის წევრი და ა.შ. წმ. ამბროსის ინიციატივით, საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ 1907წ. 22 მარტს მიიღო გადაწყვეტილება საეგზარქოსოს ეკლესიებისთვის ბლანკების, სამეტრიკო წიგნების და სხვა დოკუმენტაციის ქართულ ენაზე დამზადების შესახებ. 1907წ. იანვრიდან მას დაეკისრა კანტორის ფინანსებზე - შემოსავლებზე და მათ ხარჯვაზე ზედამხედველობა.

მკვეთრი გარდატეხა წმ. ამბროსის ცხოვრებაში გამოიწვია 1908წ. 28 მაისს საქართველოს ეგზარქოს ნიკონის (სოფიისკი) მკვლელობის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა. ეგზარქოსის მკვლელი ოფიციალურად დღემდე დადგენილი არ არის, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ის გახდა მსხვერპლი თავისი ვერაგული და აგრესიული ანტიქართული პოლიტიკისა, რომელიც ქართული სამღვდელოების შევიწროებაში, ავტოკეფალისტთა სასტიკ დევნაში, იმპერიის მთავრობის თავმჯდომარის პ. სტოლიპინის მიერ მოწონებული საქართველოს ეკლესიური და ტერიტორიული დანაწევრების გეგმის შემუშავებაში მდგომარეობდა. მიუხედავად მიღებული ზომებისა, ხელისუფლებამ ეგზარქოსის ფიზიკური მკვლელი ვერ აღმოაჩინა, ამიტომ მთავარი დარტყმა მიმართული იქნა ე.წ. „ინტელექტუალური მკვლელების” ანუ ავტოკეფალისტების ნინააღმდეგ. გამოძიებას თბილისის საოლქო სასამართლო აწარმოებდა, პარალელურად მუშაობდა 1908 წლის სექტემბერში პეტერბურგიდან მოვლენილი კომისია ობერპოროკურორის კანცელარიის ვიცე-დირექტორის ვ. იაცევიჩის

თავმჯდომარეობით. თბილისის ოხრანკამ 1908წ. 23 ნოემბერს ვიქტორ იაცკევიჩს გადასცა ცნობები ე.ნ. ავტოკეფალისტთა პარტიის შემადგენლობის შესახებ. პირველ ნომრად დასახელებულია ეპისკოპოსი ლეონიდე, რომელიც, ოხრანკის აზრით, ავტოკეფალისტთა „სული და გულია“ და რომლის უახლოესი თანამებრძოლები არიან ეპ. პეტრე, არქ. ამბროსი ხელაია და ქუთაისელი მღვდელი ამბროსი ფოფხაძე; მეორე და მესამე ნომრებად სახელდებიან ეპ. კირიონი, რომელიც ხარკოვის გუბერნიაში კურიაუის მონასტერში იყო გადასახლებული, და ეპ. პეტრე. მეოთხე ნომრად დასახელებულია წმ. ამბროსი. დოკუმენტში ვკითხულობთ: „არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, უკავია რა სინოდალური კანტორის წევრის თანამდებობა და არის რა ძალიან ჭკვიანი და უნარიანი ადამიანი, ითვლება ავტოკეფალური მოძრაობის ერთერთ ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწედ; ცნობილია, რომ ის ახლო ურთიერთობაში იმყოფება ეპისკოპოსებთან ლეონიდესთან, გიორგისთან და პეტრესთან, მღვდლებთან თალაკვაძესთან, ცინცაძესთან და ჩიჯავაძესთან; არსებობენ აგრეთვე ცნობები, იმის შესახებ, რომ მის ბინაში გარკვეული დროის მანძილზე გელათის მონასტრის წინამდღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი იმაღლებოდა.“ ეს ოხრანკისეული დახასიათება, რომელიც ყველასაგან გამორჩეულია, გახდა, ჩვენის აზრით, საფუძველი ვ. იაცკევიჩის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე უწმ. სინოდის 1908წ. 20 დეკემბრის გადაწყვეტილებისა არქ. ამბროსის დაკავებული თანამდებობებიდან განთავისუფლებისა და ღვთისმსახურების უფლების აკრძალვით რიაზანის სამების მონასტერში მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ გამწესების შესახებ.

რიაზანის წმ. სამების მონასტერში წმ. ამბროსი უმძიმეს პირობებში იმყოფებოდა, რის შესახებაც 1917წ. 9 მარტს თავადვე წერდა გაზეთ „საქართველოში“. მის საქმეს იძიებდა იმუამად რუსეთის იუსტიციის მინისტრი (1906-1915წ.). ი. შეგლოვიტოვი. გამოიქამბ წმ. ამბროსის დანაშაული ვერ დაადასტურა და 1909 წლის ბოლოს მას ღვთისმსახურების უფლება აღუდგინეს. იმავე წლის 25 დეკემბერს რიაზანის მონასტრის ეკლესიაში წმ. ამბროსიმ ბრწინვალე საშობაო ქადაგება წარმოსთქვა, რომელიც მიუძღვნა განმარტებას ანგელოზთა სიტყვებისა, რომლებითაც მათ ამცნეს ადამიანებს დედამიწაზე ქრისტიანული ეპოქის დაწყება: „დიდება მა-

ღალსა შინა ღმერთისა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, კაცთა შორის სათნოება". საქართველოს ეკლესიისა და მისი პიროვნული მდგო- მარეობის გათვალისწინებით, მთავარი ყურადღება ქადაგებაში დაეთმო „ქვეყანასა ზედა მშვიდობას" - სიტყვებს, რომლებითაც ანგელოზები იუწყებოდნენ „იმ შვიდობის შესახებ, რომელიც უნდა სუფევდეს ქრისტიანთა შორის მათს ცოდვილ ცხოვრებაში, ანუ მშვიდობაზე ღმერთან, საკუთარ თავთან და ყველა ჩვენს ირგვ- ლივ მყოფ ადამიანებთან," - ბრძანებდა წმ. ამბროსი.

მიუხედავად ბრალდებების მოხსნისა, ექსორია უკვე ახალი ფორმით გაგრძელდა. წმ. ამბროსის რეაბილიტაცია მოხდა მხ- ოლოდ ნაწილობრივ - მას კვლავაც ჩამორთმეული ჰქონდა სამ- შობლოში დაბრუნებისა და სამსახურის უფლება. უწმ. სინოდის 1910წ. 4 თებერვლის გადაწყვეტილებით არქ. ამბროსი ნოვგოროდის ეპარქიის ქ. სტარაია რუსას ფერიცვალების მო- ნასტრის წინამდგრად დაინიშნა, იმავე წლის 24 დეკემბრიდან იმავდროულად ეპარქიის მონასტრების მთავარხუცესის (ბლალოჩინის) თანამდებობაც დაიკავა. საქართველოს ხელნაწ- ერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია სტარაია რუსაში და ნოვგოროდის ეპარქიის სხვა მონასტრებში წარმოთქმული ორ ასეულზე მეტი ქადაგება თუ სიტყვა. მათში წმ. ამბროსი ეხება უამრავ თემას წმინდა თეოლოგიური პრობლემებით დაწყებუ- ლი, პირველი მსოფლიო ომითა და ეპარქიაში არსებული სხვა- დასხვა სოციალური პრობლემებით დამთავრებული. საინ- ტერესო 1911 წლის 2, 16 და 23 ოქტომბერს წარმოთქმული ქადაგებები. ისინი, შეიცავენ საკმაოდ საფუძვლიან კრიტიკას მატერიალისტებისა, რომლებიც უარყოფდნენ სულის, შესაბამისად, იმქვეყნიური ცხოვრების არსებობას, აცხადებდნენ, თითქოს აზროვნებს მატერია და არა სული. წმ. ამბროსი მიიჩ- ნევდა, რომ სულიერი საწყისის გარეშე შუძლებელია ადამიან- თა ბუნებაში მრავალი ისეთი მოვლენის ახსნა, როგორიცაა განყენებული ცნებებისა და აზრების სამყარო, ზნეობრივ გან- საზღვრებათა სამყარო, უმაღლესი რელიგიური ცნებების სამ- ყარო თავისი რწმენით ღმერთისადმი მარადიული სიმართლის, მარადიული სიკეთისა და ნეტარების იმედით. მატერიალიზმს იგი „სულიერ თვითმკვლელობას" უწოდებდა; მისი მსხვერპლნი შეიძლება გახდნენ ცალკეული პიროვნებები, მაგრამ არა კა-

ცობრიობა მთლიანობაში, „რომელიც ყოველთვის დარჩება სულის უმაღლესი მოთხოვნილებების ერთგული”, რადგანაც „სული ადამიანში დვოთური საწყისია... ჩვენი მოვალეობაა მისი სუფთად შენაცვა”, - ბრძანებდა წმ. ამბროსი.

ქადაგებათა მნიშვნელოვანი ნაწილი პირველი მსოფლიო ომის თემას ეხება. რუსეთისთვის განსაცდელის უამს რუსული შოვინიზმის წინააღმდეგ აქტიურმა მებრძოლმა ქართველმა პატრიოტმა ამბროსი ხელაიამ, რომელიც „ყოველივე რუსულის მოწინააღმდეგებ” იყო შერაცხული და ამის გამო სამშობლოდან გასახლებული, დაიკავა არა ჩასაფრებულის, არამედ ჭეშმარიტი ქრისტიანის პოზიცია. „გავერთიანდეთ, ძმებო საერთო სიყვარულში სამშობლოსადმი, ეკლესიისადმი, ერთმანეთისადმი”; „ნუ იქნება ჩვენს შორის ტომთაშორისი და პარტიული მტრობა”, - მოუწიდებდა იგი თავის მსმენელებს. წმ. ამბროსი ზრუნავდა დაჭრილ მეომრებზე, ომის შედეგად დევნილებად ქცეულ ბავშვებზე. 1914წ. 14 ოქტომბერს მონასტერში მან გახსნა ლაზარეთი, 1915წ. 8 ნოემბერს - საერთო საცხოვრებელი დევნილი მოსწავლეებისთვის.

1917წ. 14 იანვარს ამბროსი ხელაიამ დევნილობაში მყოფ ეპისკოპოს კირიონთან და თბილისიდან ჩამოსულ ეპ. ანტონთან (გიორგაძე) ერთად მონაწილეობა მიიღო პეტროგრადში ქართული ეკლესიის კურთხევაში. თავის ემოციურად დატვირთულ სიტყვაში მოუწოდა იქ შეკრებილ თანამემამულებს, განსაკუთრებით სტუდენტებს „ევროპის ფანჯრის” ანუ პეტროგრადის მეშვეობით ეზიარონ „ევროპული კულტურის ნაკადებს, რათა იყოთ სასარგებლონი მშობლიური ქვეყნისთვის”.

წმინდა ამბროსიც, იმყოფებოდა რა სტარაია რუსაში, მხოლოდ მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებაზე, მის სამსახურში ჩადგომაზე ოცნებობდა, მაგრამ ყველა მისი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. მხოლოდ ერთხელ, 1912 წელს მოახერხა მან, ისიც შვებულებით, საქართველოში ჩამოსვლა; იყო მშობლიურ აფხაზეთში, ილორში, მოინახულა ბედის ტაძარი, რომლის ერთ-ერთ წარწერას სპეციალური წერილიც მიუძღვნა. სოხუმში ყოფნისას წმ. ამბროსი ეპისკოპოს ანდრიას (უხევიმსკი) შეხვდა და ამის თაობაზე „ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტში” სპეციალური წერილი გამოაქვეყნა - „ჩანაწერი სოხუმის ეპისკოპოს ყოვლადსამღვდელო ანდრიას მოღვაწეობის შესახებ.” დადებითად შეაფასა რა ეპ. ან-

დრიას მოღვაწეობა, მიწასთან გაასწორა მისი წინამორბედი რუსი მღვდელმთავრების შოვინისტური პოლიტიკა. წერილში „სასურველია თუ არა ილორის ეკლესის რუსულ დედათა მონასტრად გარდაქმნა”, რომელიც 1913წ. 10-11 აპრილს გაზეთ „ზაკავკაზიის“ ს ორ ნომერში გამოქვეყნდა, ის ეპისკოპოს ანდრიასაც დაუპირისპირდა. ახალი ათონის, ფრანგისა და მოქვის მონასტრების მაგალითზე წმ. ამბროსი ეპისკოპოს ანდრიას და მის მომხრეებს უმტკიცებდა, რომ ქართული სინმინდეების რუსულ მონასტრებად გადაკეთება ხელს არ უწყობს მისიონერული მიზნების მიღწევას, პირიქით, ზიანს აყენებს აფხაზთა შორის ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების ინტერესებს. იმავე წლის დეკემბერში „ზაკავკაზიის“ ექვს ნომერში დაიბეჭდა წმ. ამბროსის წერილების სერია სათაურით: „ილორის ტაძრის რუსულ დედათა მონასტრად გარდაქმნის შესახებ“. ამ წერილებმა ჩაშალეს საეკლესიო მთავრობის გადაწყვეტილება სოხუმის ეპარქიაში კიდევ ერთი ქართული კერის მოშტაბისა და იმპერიული პოლიტიკის მორიგი დასაყრდენის - რუსული მონასტრის დაფუძნების შესახებ. სოხუმის ეპარქიაში არსებულ ვითარებას ეძღვნება „პეტროგრადსკიე ვედომოსტში“ 1916-1917 წლებში გამოქვეყნებული ხუთი წერილი: „სოხუმის ეპარქიის შესახებ“ (დაიბეჭდა გაზეთის სამ ნომერში), „პასუხად ყოვლადსალვდელო სერგის“, „სოხუმის ეპარქიიდან“, „წერილი კავკასიიდან“ და „სოხუმელი საქმოსნები“. წერილმა „სოხუმის ეპარქიის შესახებ“ დიდი როლი ითამაშა საქართველოს საეგზარქოსოსაგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის სინოდისეული გეგმის ჩაშლაში. უაღრესად მნიშვნელოვანია სხვა წერილებიც, რომლებშიც მხილებულია საეპარქიო მთავრობის შოვინისტური, ანტიქართული პოლიტიკა. 1916 წლის ნოემბრიდან 1917წ. იანვრამდე იმავე „პეტროგრადსკიე ვედომოსტში“ წმ. ამბროსიმ დაბეჭდა თემატურად ერთმანეთთან დაკავშირებული სამი წერილი: „სასულიერო სემინარია ქუთაისში“, „ქართველი ეპისკოპოსების უუფლებობა და საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლები“, „უცნაური კომპენსაცია“. მათში საუბარი იყო სასულიერო განათლების სფეროში ქართველთა დისკრიმინაციის აღმაშფოთებელ ფაქტებზე.

1917 წლის თებერვალში რუსეთში თვითმკურობლობის დამხობამ შექმნა წინაპირობები ქართული ეკლესის ავტოკე-

ფალიის აღსადგენად. წმ. ამბროსი მიესალმა თებერვლის დემოკრატიულ რევოლუციას. 1917წ. 17 მარტს მონაწილეობა მიიღო თავისუფლების გამოცხადებასთან დაკავშირებით სტარაია რუსას მოედანზე გამართულ ცერემონიალში და რევოლუციის მსხვერპლთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისის გადახდაში. თავის სიტყვაში წმ. ამბროსი მიესალმა თავისუფლების დამყარებას. არსებულმა წყობილებამ დიდი ხანია თავისი დრო მოჭამა, - განაცხადა მან, - „ახლა თითოეული პიროვნება თავისუფალია... სახელმწიფოს უუფლებო წევრთა ბაგეთაგან ახლა ახსნილია ბეჭდები, რომლებითაც ისინი იყო დალუქული... მოგვეცა შესაძლებლობა, შეუერთდეთ ევროპის კულტურულ ოჯახს. ჭეშმარიტად დიდი ბედნიერებაა, უდიდესი მონაპოვარია ხალხის კეთილდღეობისთვის”.

როგორც კი წმ. ამბროსიმ შეიტყო 1917წ. 12 (25) მარტს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, გაზეთში „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ დაბეჭდა ვრცელი წერილი „სალამი ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიას“. მაშინათვე აიღო შვებულება და საქართველოსაკუნ გამოემართა. 1917 წლის აპრილში ის აქტიურად მონაწილეობდა ქართული ეკლესიის დროებითი მმართველობის მუშაობაში. შვებულების დასრულების შემდეგ კვლავ სტარაია რუსაში დაპრუნებული წმ. ამბროსი შეუდგა სამეცნიერო-პოპულარული წერილების სერიის მომზადებას საერთო სათაურით „წერილები ქართული ეკლესიის შესახებ“. 1917 წლის მაის-სექტემბერში რვა ასეთი წერილი დაიბეჭდა გაზეთ „პეტროგრადსკიე ვედომოსტში“. ავტორი მთელს იმპერიას უსაბუთებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერებას და აუცილებლობას, უჩვენებდა საქართველოს ისტორიულ დამსახურებას მსოფლიო ქრისტიანული ცივილიზაციის, ევროპული ქრისტიანული კულტურის წინაშე. წმ. ამბროსი ასეთ კითხვებს სვამს: „ჰქონდათ არა ქართველი ხალხის ასეთ ბობოქარ - საბრძოლო ცხოვრებას რაიმე ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა? მოახერხეს თუ არა ქართველებმა ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში რაიმე ყურადსალების შეტანა? თავიანთი ისტორიული ცხოვრებით, დაიმსახურეს თუ არა მათ, უკიდურეს შემთხვევაში, ის, რომ მათ წარსულ ცხოვრებას და ამჟამინდელ მდგომარეობას მოეკიდონ ერთგვარი პატივისცემითა და ყურადღებით? დასმულ კითხვებზე წმ.

ამბროსი პასუხობს თავის წერილებში. მისი აზრით, ქართველობამ საუკუნეების მანძილზე გაღებული სისხლით შეიტანა თავისი წვლილი თანამედროვე ევროპული კულტურის საგანძურში; საქართველო, რომელიც მონამეთა ქვეყანაა, სისხლისაგან იცლებოდა ქრისტიანული ცივილიზაციის ინტერესებისთვის. მერვე დასკვნით წერილში წმ. ამბროსი ეხება საქართველოს მიერ ზოგად-საკაცობრიო კულტურის საგანძურში არა მხოლოდ სისხლით, არამედ, როგორც თვითონ წერს, „სიბრძნის მელნით“ შეტანილ წვლილს. ამ სფეროში ქართველთა დამსახურების წარმოსაჩენად ავტორი მოკლედ მიმოიხილავდა მდიდარ ქართულ სასულიერო და საერო ლიტერატურას, საუბრობდა ძველქართული წერილობითი ძეგლების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე.

ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ გადასახლებაში ყოფნის პერიოდში იმპერიის მთავარი გაზეთის ფურცლებზე ქართული ეკლესიის პრობლემების, ცალკე სოხუმის ეპარქიაში არსებული ვითარების მაღალ მეცნიერულ და პუბლიცისტურ დონეზე წარმოჩენა წმ. ამბროსის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა ერისა და მისი ეკლესიის წინაშე.

1917წ. ზაფხულში წმ. ამბროსი ქართული ეკლესიის დელეგაციის შემადგენლობაში მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებებში რუსეთის დროებით მთავრობასთან და რუსული ეკლესიის წარმომადგენლებთან. იმავე წლის აგვისტოს დასაწყისში ის სამუდამოდ დაბრუნდა საქართველოში, აქტიურად მონაწილეობდა პირველი საეკლესიო კრების მომზადებაში და მუშაობაში. კრებას ავტოკეფალიაალდგენილი ეკლესიის პირველი საჭეთმპყრობელი უნდა აერჩია. სამღვდელოებისა და საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ამ მაღალ და მეტად საპატიო თანამდებობაზე არქიმანდრიტი ამბროსის დასახელება გადაწყვიტა. როგორც რაფიელ ივანიცკი წერდა, „გარდა იმ მოსაზრებისა, რომ პარტიულად დაყოფა სამღვდელოებისა (ლეონიდელები და კირიონელები) სიკეთეს არ უქადდა ახლად ფეხზედამდგარ ეკლესიას, ... მხედველობაში მიღებულ იქნა არქიმანდრიტი ამბროსის უპირატესობაც კულტურულ-პოლიტიკური მხრივ. როდესაც ეს მომწიფებული სურვილი მას განუცხადეს თითქმის ოფიციალურად, მან სახეგაფითრებულმა ნაწყენად წარმოთქვა, რომ იგი არ არის იმდენად გამბედავი,

თავისი კანდიდატურა კათალიკოზის ტახტისათვის დასვას, როდესაც ცოცხლობენ ისეთი დამსახურებული მხცოვანი მოღვაწენი, როგორებიც არიან ეპისკოპოზები კირიონი და ლეონიდი”. წმინდა ამბროსის არასოდეს ამოძრავებდა კარიერისტული მოსწრაფებები, რაც მან შემდგომშიაც დაამტკიცა. ამავე დროს ის გახლდათ შესანიშნავი ორგანიზატორი, ენერგიული და უნარიანი ხელმძღვანელი. მისი ეს თვისებები მაქსიმალურად გამოვლინდა მაშინაც, როდესაც I საეკლესიო კრების მიერ არჩეულმა კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II თავისი ინტრონიზაციის მეორე დღეს - 1917წ. 2(15) ოქტომბერს არქ. ამბროსი ჭყონდიდელ მიტროპოლიტად აკურთხა. ვინაიდან პირველი კრების მიერ დაფუძნებულ ცხუმ-ბედის ეპარქიაზე ქართული ეკლესის იურისდიქცია ჯერ ვერ ვრცელდებოდა, ეს კათედრა დროებით ჭყონდიდის ეპარქიას მიეწერა. მიტროპოლიტი ამბროსი, ამრიგად, ორ კათედრას ხელმძღვანელობდა. მასვე დაეკისრა აფხაზეთის ეკლესიური შემორთების ისტორიული მისიაც. როგორც ცნობილია, თითქმის მთელი 1918 წლის განმავლობაში აფხაზეთი გადაქცეული იყო ბრძოლის არენად რუსეთიდან შემოჭრილ ბოლშევიკებთან, თურქულ დესანტთან, რუსი თეთრგვარდიელების აგენტურასთან და ა.შ. საბოლოოდ არ იყო დადგენილი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარი. არ იყო განსაზღვრული აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსიც. ეს ყოველივე, ბუნებრივია, აფერხებდა ქართული ეკლესის იურისდიქციის აღდგენას აფხაზეთში. მიუხედავად ამისა, მიტროპოლიტი ამბროსი არაერთხელ ჩავიდა სოხუმში, შედარებით იოლად მოახერხა სამურზაყანოსა და დანარჩენი აფხაზეთის ქართული სამრევლოების დედა ეკლესიის წიაღში დაბრუნება. 1918 წლის შემოდგომაზე, როდესაც ძალზე აქტუალური იყო სოჭის ოკრუგის შემომტკიცების საკითხი, მიტროპოლიტმა ამბროსიმ ამბერის ფსევდონიმით გამოაქვეყნა ბრნყინვალე სამეცნიერო ნაშრომი „საქართველოს ისტორიული საზღვარი შავი ზღვის მხრით.“ ეს არის ამ თემაზე დღემდე შექმნილი ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი. მის დასკვნით ნაწილში ავტორი აღნიშნავს, რომ თუ ახლანდელი ძალთა განლაგება არ მოგვცემს ჩვენი მამაცი მხედრების მიერ დაკავებული შავი ზღვის ნაპირების შენარჩუნების საშუალებას, „მაშინ ამ მოკლე წერილს ის მიზანი მაინც შერჩეს, რომ მან გააღვიძოს ჩვენს ხალხში ისტორიულ უფლებათა შეგნება და

მისცეს მას იმისი ცნობა მაინც, რომ საქართველოს ძლიერების დროს ჩვენი საზღვარი ტულაპსესაც იქეთ სცილდებოდა.” ეს სი-ტყვები არასოდეს დაკარგავენ თავის მნიშვნელობას.

1919 წლისთვის პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში სტაბილური გახდა, იმავე წლის 20 მარტს დემოკრატიული წესით არჩეულმა სახალხო საბჭომ მიიღო ისტორიული აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ, რომლის ძალითაც ეს რეგიონი საქართველოს ავტონომიური ერთეული გახდა. რუსულ ეკლესიას დაქვემდებარებული სოხუმის ეპისკოპოსი სერგი (პეტროვი) ამ დროიდან აფხაზეთში არ იმყოფებოდა. 1919 წ. 1 სექტემბერს აფხაზეთის კომისარიატმა (მთავრობამ) თავისი დეკრეტით მართლმადიდებელი ეკლესიების მართვის შესახებ აფხაზეთის კათედრა ვაკანტურად გამოაცხადა. იმავე წლის 11 სექტემბერს მიტროპოლიტი ამბროსი სოხუმის ეპარქიის დროებით მმართველად დაინიშნა. შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ 1919წ. 7 ოქტომბერს ჩატარებულმა საეპარქიო კრებამ, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ქართული, ისე აფხაზური, ბერძნული და ნანილობრივ რუსული სამრევლოების დელეგატები, მოისმინა რა მიტროპოლიტ ამბროსის მოხსენება, მიიღო გადაწყვეტილება ქართული ეკლესიის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ამიერიდან ცხუმ-ბედიის ეპარქიას ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ეწოდა. პირველ მღვდელ-მთავრად კრებამ მიტროპოლიტი ამბროსი აირჩია. ქართული ეკლესიის გაერთიანება საეკლესიო და საერო კანონების სრული დაცვით მოხდა და ყოველივე ამაში დიდია წმ. ამბროსის პირადი დამსახურება. მიუხედავად უამრავი პრობლემებისა, მათ შორის ყველაზე მნვავე ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები იყო, აფხაზეთის მღვდელმთავარი, რომელიც იმავდროულად გარკვეული პერიოდი ჭყონდიდის კათედრასაც განაგებდა, მისთვის ჩვეული მონდომებითა და შემართებით აგრძელებდა მშობლიურ და კარგად ნაცნობ რეგიონში მოღვაწეობას. ჩვენ ხელთა გვაქვს წმ. ამბროსის მიერ სოხუმში, ოჩამჩირეში წარმოთქმული ქადაგებები, რომელთა მთავარი თემებია სარწმუნოების განმტკიცება, ეკლესიის ამაგი და როლი ქვეყნის ისტორიაში, საქართველოს დამოუკიდებლობა და მთლიანობა, გარეშე მტრებისაგან მისი დაცვის აუცილებლობა და ა.შ. ეც-

ნობი ამ ქადაგებებს და რწმუნდები, რომ წმ. ამბროსი გახლ-დათ როგორც სულიერი, ისე არაფორმალური პოლიტიკური ლიდერიც, რომლის გავლენა და პოპულარობა აფხაზეთში, მთლიანად ქვეყანაში დღითიდღე იზრდებოდა. მას ანგარიშს უნევდნენ სახელისუფლებო წრები სოხუმშიც და თბილისშიც.

მიტროპოლიტი ამბროსი არ ივიწყებდა სამეცნიერო საქმი-ანობასაც. 1920 წელს მან შექმნა შესანიშნავი ნაშრომი „ბედია და ბედის ტაძარი”, რომელსაც, სპეციალისტები დამეთანხმებიან, დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. აქვე მოგახსენებთ, რომ ჯერ-ჯერობით დაკარგულად ითვლება წმ. ამბროსის ნაშრომი „სოფელი ილორი და ილორის წმ. გიორგის ეკლესია”, რომელიც იმავე სტილში და იმავე მეთოდოლოგიით უნდა ყოფილიყო დაწერილი, როგორც „ბედია და ბედის ტაძარი”. ეტყობა, აღნიშნული ნაშრომი, ისევე როგორც სხვა შრომები (მაგალითად, „1909 წლის დღიურები”, „12 მოციქულის მოძღვრება როგორც საეკლესიო სამართლის წყარო”) წმ. ამბროსის გარდაცვალების შემდეგ არის დაკარგული.

საბჭოთა ოკუპაციამ მიტროპოლიტ ამბროსის სოხუმში მოუსწრო. ოკუპანტებმა პირველი იერიში ეკლესიაზე მიიტანეს. საქართველოს ე.წ. რევოლუციური კომიტეტის 1921 წ. 15 აპრილის დეკრეტმა ეკლესის სახელმწიფოსაგან, ეკლესისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ ეკლესია კანონგარეშედ გამოაცხადა. უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაც. მაგრამ ეს მაინც არ იყო მთავარი გამოცდა. წმ.ამბროსის წინ ბევრად უფრო მძიმე ჯვარი ელოდა. უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდეს გარდაცვალების შემდეგ 1921წ. 1-5 სექტემბერს გელათში მოწვეულმა III საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტი ამბროსი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. თბილისში პირველი ღვთისმსახურება მან 18 სექტემბერს სამხედრო ტაძარში ჩაატარა და საბჭოთა ოკუპანტებთან ბრძოლისას დაბუჟული, იმავე ტაძრის ეზოში დაკრძალული გმირების სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა. ამით წმ. ამბროსი ღიად დაუპირისპირდა საოკუპაციო კომუნისტურ რეჟიმს. ამ რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული მისი მრავალრიცხოვანი ქადაგებები და გამოსვლები, რომელთა მთავარი თემები გახლდათ პატრიოტიზმი, სამშობლოსადმი და ეკლესისადმი ერთგულება, ათეიზ-

მის, კოსმოპოლიტიზმისა და ცრუინტერნაციონალიზმის კრიტიკა. 1922წ. 20 მარტის ქადაგებაში კომუნისტების გასაგონად მან განაცხადა, „რომ ურნმუნოება არანორმალური მოვლენაა ცხოვრებაში. ის ხრნნის საზოგადოებრივ ორგანიზმს. ის ხალხი, რომელიც უარყოფს სარწმუნოებას, ეცემა ზნეობრივად და შორს ვერ წავა განვითარების გზაზე. პირიქით, ის დაჩქარებით მიემართება ეროვნული განადგურებისაკენ.“ წმ. ამბროსი ლიად აკრიტიკებდა ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, ვისაც საკუთარი ერისთვის ზრუნვა ჩამორჩენილობისა და უკულტურობის ნიშნად მიაჩნდათ, ვისაც აინტერესებდა მხოლოდ ზრუნვა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, ვინაიდან ეს იყო ვითომ განათლებისა და კულტურულად განვითარების მაჩვენებელი. „კაცობრიობისათვის ზრუნვით, მისი ხსნის სურვილით გატაცებულნი ხშირად ივინყებენ თავის ერს, - ბრძანებდა წმ. ამბროსი... ცხადია, ერისთვის ზრუნვა, მისი განკურნება, მისი კულტურულად ამაღლება არის კაცობრიობის სამსახური... ჩვენში კი არის მიმართულება, რომელიც ყველაფერ ეროვნულს გმობს, ხალხის ისტორიულ სინმინდეებსაც საცინლად იგდებს.“

კათოლიკოს-პატრიარქი უკიდურესად შეშფოთებული იყო საოკუპაციო რეჟიმის მკვეთრად გამოხატული ანტიეროვნული პოლიტიკით, რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამხობაში, თავისუფლების მოსპობაში, ქვეყნის დანაწევრებაში, ეკლესიის განადგურების მცდელობაში, ქართული ენისა და კულტურის დაკრინინებაში გამოიხატებოდა. ყველაფერ ამის თაობაზე ის წერდა 1922წ. 7 თებერვალს გენუის კონფერენციისთვის გაგზავნილ მემორანდუმში და სთხოვდა „კულტურულ კაცობრიობას“ ხელშეწყობას საქართველოს დეოკუპაციისა და ქართველი ხალხისთვის მისაღები დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დაფუძნების საქმეში. მემორანდუმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციის მონაწილეებზე და ევროპის პოლიტიკურ წრეებზე, იმავდროულად კრემლისა და მისი თბილისელი მარიონეტების განრისხება გამოიწვია. საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმის 1922წ. 30 მაისის, ცეკას პრეზიდიუმის იმავე წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებებით საგანგებო კომისიას დაევალა კათოლიკოს-პატრიარქის პასუხისმგებაში მიცემა და ამ საქმეზე ძიების დაწყება. საგანგებო კომისიამ ოჯგურ დაკითხა მისი უნ-

მინდესობა და 22 ივნისს ბრალიც წაუყენა „პროვოკაციაში, კონტრევოლუციაში და საბჭოთა ხელისუფლების შებდალვაში“. მიუხედავად ზენოლისა, წმ. ამბროსი თავს დამნაშავედ არ ცნობდა და მტკიცედ იცავდა მემორანდუმში გამოხატულ პოზიციას. საგანგებო კომისიამ მასზე ფარული ზედამხედველობა დააწესა.

საკუპაციო რეჟიმთან ღია შეტაკებამ, ამასთან გამოჩენილმა სიმტკიცემ და თავდადებამ კიდევ უფრო გაზარდა მისი უნიმინდესობის ავტორიტეტი სამღვდელოებაში და საზოგადოებაში. ის არა მარტო მყარად დარჩა გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის პოზიციაზე, არამედ მზად იყო დაემყარებინა კავშირი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, დაელოცა მისი სამართლიანი ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისთვის. როგორც დავით ვაჩნაძე მოწმობს, წმ. ამბროსი ამის გაკეთებას 1922 წლის სექტემბერში ალავერდობაზე აპირებდა. „რჯულისა და ერისათვის სიკვდილი მწყურია. ვეღარ ვიტან ამ შეგინებულ, ნაძრახ ქართულ სიცოცხლესო“, - უთქვამს მაშინ კათოლიკოს-პატრიარქს. ნაკლებ სავარაუდოა, რომ მან ქაქუცა ჩოლოყაშვილთან შეხვედრა მოახერხა, მაგრამ 1922 წლის ალავერდობაზე ის ნამდვილად იმყოფებოდა, სადაც ახლომდებარე სოფლების სამღვდელოებისა და მოსახლეობის წარმომადგენლებსაც შეხვდა, რომელთა შორის, არ არის გამორიცხული, ყოფილიყო ქაქუცასთან შუამავალი თუ მოკავშირე.

1922 წლის ბოლოსთვის საქართველოს კომპარტიამ დაიწყო მზადება ფართომასშტაბიანი ანტირელიგიური კამპანიის ჩასატარებლად. იმავე წლის 20 დეკემბერს ცეკას პრეზიდიუმმა ლ. ბერიას მოხსენების საფუძველზე მიიღო დადგენილება არაუგვიანეს 1923წ. 20-იანი რიცხვებისა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის დაწყების შესახებ. ქართული ეკლესიისთვის, პირადად წმ. ამბროსისთვის ყველაზე მძიმე 1923-1924 წლები აღმოჩნდა. საკუპაციო რეჟიმმა გადაწყვიტა ბოლო მოედო სასულიერო მთავრობისთვის კათოლიკოს-პატრიარქის მეთაურობით, ერთდროულად დაეხურა ან ფიზიკურად გაენადგურებინა ეკლესია-მონასტრები. 1923წ. 12 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე იმავე დღეს დააპატიმრეს უნიმინდესი და უნეტარესი ამბროსი, საკა-

თოლიკოსო საბჭოს წევრები და თანამშრომლები. წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ჯერ საგანგებო კომისია, მერე კი უზენაესი სასამართლო წინასწარ გამოძიებას აწარმოებდნენ. ე.წ. სასამართლო პროცესი 1924 წლის 10-19 მარტს მორალური და ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ მიმდინარეობდა. კათოლიკოს-პატრიარქმა და სხვა განსასჯელებმა არნახული სიმტკიცე და მოთმინება გამოიჩინეს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მისი უწმინდესობის დამცველებმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა და იურისტებმა კირილე ნინიძემ და იოსებ ბარათაშვილმა ნამდვილი სამოქალაქო გმირობა ჩაიდინეს. ისინი არ შეუშინდნენ მუდმივ ზენოლას, მუქარებს არსებული რეჟიმის მხრიდან და პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. ჩვენს საზეიმო სხდომაზე იმყოფებიან კირილე ნინიძის შვილიშვილი ბ-ნი გია თარხან-მოურავი და უახლოესი ნათესავი ბ-ნი თედო ნინიძე. დღეს ვესაუბრეთ იოსებ ბარათაშვილის შვილს, ცნობილ იურისტს ბატონ ლადო ბარათაშვილს, რომელმაც მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შესძლო აქ მობრძანება. მინდა თქვენი სახელით მივესალმო მათ. ათდღიანი „სასამართლო პროცესის“ მთავარ მოვლენად წმ. ამბროსის საბოლოო სიტყვა უნდა ჩაითვალოს. მის სრულ ტექსტს, რომელიც, იმედი მაქვს, მალე იხილავს მზის სინათლეს, ჯერ ქართული საზოგადოება არ იცნობს, თუმცა ამ სიტყვის ძირითადი ნანილი 1988 წლიდან არის გამოქვეყნებული. სასამართლოზე წარმოთქმული საბოლოო სიტყვის შესახებ შემიძლია ძალიან მოკლედ მოგახსენოთ, რომ ეს დოკუმენტი, რომელიც თავისი ჩანართებითა და დამატებებით წმინდა ამბროსის შვილთაშვილის ანა კლდიაშვილის კოლექციაშია დაცული, წარმოადგენს XXს. 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში არსებული საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ შედგენილ, კარგად დასაბუთებულ საბრალდებო დასკვნას.

ე.წ. სასამართლომ კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი „დახვრეტის“ ღირსად ცნო, მაგრამ გამოიჩინა „ლმობიერება“ და 7 წლით, 9 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ დეკანზებს კალისტრატე ცინცაძეს, იოსებ მირიანაშვილს, მარკოზ ტყემალაძეს, აგრეთვე ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ნიკოლოზ

თავდგირიძეს. სწორედ განაჩენის გამოცხადების შემდეგ წარმოსთქვა მისმა უწმინდესობამ უკვდავი სიტყვები: „სული ჩემი ეკუთვნის უფალს, გული - საქართველოს, სხეულს კი რაც გნებავთ ის უყავით.“ ეს იყო არა უბრალოდ ლამაზი სიტყვები, არამედ წმინდა ამბროსის სულის ბუნებრივი მდგომარეობა, მთელი მისი ცხოვრება ხომ ამ გენიალურობამდე მარტივი სიტყვების სულისკვეთებით, ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულით გახლდათ გამსჭვალული. სასამართლოს დასრულების შემდეგ ნათქვამი ეს სიტყვები, ცხადია, ოფიციალურ ოქმში ვერ აისახებოდა, ვერც საბჭოთა გაზიერებში დაიბეჭდებოდა, მაგრამ მაშინათვე მოედო მთელს საქართველოს, გამოქვეყნდა ემიგრანტულ პრესაში და ასე მოაღწია ჩვენამდე.

1924 წლისთვის საოკუპაციო რეჟიმმა ძირითადად დაასრულა ეკლესია-მონასტრების ფიზიკური ნგრევა თუ დახურვა. იმავე წლის მაისში გამართულ საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობაზე სიამაყით გაცხადდა 1500-მდე ეკლესია-მონასტრის დახურვის შესახებ. ოკუპანტებს მიაჩნდათ, რომ კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს წევრების გასამართლებით, ეკლესია-მონასტრების მასობრივი დახურვით დიდ „გამარჯვებას“ მიაღწიეს. 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა სახალხო აჯანყებამ ეს ილუზია გაფანტა. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის უკმაყოფილების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს სწორედ ხელისუფლების ანტისაეკლესიო პოლიტიკა წარმოადგენდა. არსებულმა რეჟიმმა ტაქტიკა შეცვალა, გაამარტივა ეკლესიების გახსნის წესი. არა ტაძრების დახურვის, არამედ რელიგიური გრძნობების აღმოფხვრის გზით მოვსპოო ეკლესია - ასეთი იყო ახალი პარტიული დირექტივა.

ახალმა ტაქტიკამ დღის წესრიგში დასვა წმ. ამბროსის ვადამდე ადრე განთავისუფლების საკითხიც. შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე საბჭოთა რეჟიმმა მასთან თანამშრომლობაში მყოფი მღვდელმთავრების მეშვეობით სცადა წმ. ამბროსისგან „დანაშაულის“ აღიარება და მონანიება გამოეძალა. 1924 წ. 7 და 16 ოქტომბერს მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ (ციცქიშვილი), ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭაბიძე) და სხვებმა პატიმრობაში მყოფ კათოლიკოს-პატრიარქს განთავისუფლების სანაცვლოდ ულტიმატუმის წესით მოსთხოვეს მონანიება, მაგრამ კატ-

ეგორიული უარი მიიღეს. თავის საპასუხო წერილში წმ. ამბრო-სიმ კვლავ დაადასტურა მემორანდუმის ძირითადი დებულებები და განაცხადა: „მე ჩემი თავი არ მიმაჩნია დამნაშავეთ”.

კათოლიკოს-პატრიარქის ვადამდე ადრე განთავისუფლების საკითხი გადაწყვიტა მეორე მოწვევის საკავშირო ცენტრალური აღმსარებელი კომიტეტის მესამე გასვლითმა სესიამ, რომელიც 1925წ. 3-7 მარტს თბილისში ჩატარდა. თავის დასკვნით სხდომაზე მან მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციაში ამნისტიის გამოცხადების შესახებ, 8 მარტს იგი გაზეთებში დაიბეჭდა. 10 მარტს კი წმ. ამბროსი პატიმრობიდან გაანთავისუფლება. ის ძალიან მალე შეუდგა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, ბევრი გააკეთა ეკლესიის ერთიანობისთვის, მისი ორგანიზაციული განმტკიცებისთვის. დაფუძნდა ახალი კათედრები, რომლებიც ძირითადად ახლადსელ-დასხმულმა მღვდელმთავრებმა დაიკავეს. მათ შორის სწრაფად დაწინაურდა 1925წ. 1 ნოემბერს მიტროპოლიტის ხარისხში აყვანილი კალისტრატე ცინცაძე. მისმა უწმინდესობამ იგი პატრიარქის მუდმივ მოსაყდრედ გამოარჩია. დაინტ მზადება მეოთხე საეკლესიო კრებისთვის, რომელიც 1926 წლის 23 მაისს უნდა გამართულიყო. ეკლესიის გამოცოცხლებამ, მოწამის შარავანდედით შემოსილი კათოლიკოს-პატრიარქის ავტორიტეტის განუზომელმა ამაღლებამ, პროსახელისუფლებო შიდა-საეკლესიო ოპოზიციის სრულმა დეზორგანიზაციამ საოკუპაციო რეჟიმი ძალზე შეაშფოთა. 1926 წლის 27 მარტს საგანგებო კომისიის ხელმძღვანელებმა ე. კვანტალიანმა და ლ. ბერიამ ქართული ეკლესიის მდგომარეობისა და მის წინააღმდეგ გასატარებელი ზომების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სრულიად საიდუმლო ანალიტიკური მოხსენება წარუდგინეს. მასში ჩამოყალიბებული იყო კათოლიკოს-პატრიარქის ერთგული ე.ნ. „რეაქციული“ სამღვდელოების დასუსტებისა და უღმერთო ხელისუფლების მხარდამჭერი „პროგრესული“ სამღვდელოების გაძლიერების კონკრეტული გეგმა. წმ. ამბროსის ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესებამ დააჩქარა აღნიშნული გეგმის სისრულეში მოყვანა. ამ მიზნით 1926წ. 24-25 დეკემბერს ქუთაისში გაიმართა პროსახელისუფლებო დაჯგუფების მიერ უკანონოდ მოწვეული კრება. მან

გააუქმა საკათოლიკოსო საბჭო და მის ნაცვლად დროებითი საეკლესიო მმართველობა ჩამოაყალიბა, რომლის შემადგენლობაში ძირითადად ე.წ. პროგრესისტები შევიდნენ. თანამდებობა იძულებით დატოვა კათოლიკოს-პატრიარქის მუდმივმა მოსაყდრემ მიტროპოლიტმა კალისტრატემ. იმდენად დიდი იყო წმ. ამბროსის ავტორიტეტი სამღვდელოებაში და საზოგადოებაში, რომ თვით ტერორისტულმა საბჭოთა რეჟიმმაც კი ვერ გაძედა იძულებით, ვადაზე ადრე მისი გადაყენება, სამაგი-ეროდ შექმნა ყველა წინაპირობა მისი უწმინდესობის შემდეგ უკვე ეკლესის სათავეში „პროგრესისტების“ მოსაყვანად.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნტეტარესი ამბროსი 1927წ. 29 მარტს გარდაიცვალა. დაიკრძალა 3 აპრილს სიონის საკათედრო ტაძარში. საბჭოთა რეჟიმმა თავისი რეპრესიული ზომებით მხოლოდ ის შესძლო, რომ დააჩქარა კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალება, მაგრამ ვერ მოახერხა მისი დამორჩილება. უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი დაუმარცხებელი წავიდა ამ ქვეყნიდან, წავიდა როგორც სიმბოლო თავისუფლებისათვის ბრძოლისა, საოკუპაციო რეჟიმთან შეურიგებლობისა, მშობლიური ქვეყნისა და ეკლესიისთვის თავდადებისა. მისმა ამ ბრძოლამ საერთაშორისო აღიარება და თანაგრძნობა მოიპოვა. 1927წ. 23 ივნისს, როდესაც ქართული ემიგრაციის მეცადინეობით პარიზის ბერძნულ ეკლესიაში წმ. ამბროსის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი იქნა გადახდილი, მას დაესწრო საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის მდივანი, საფრანგეთის ყველა ეკლესის წარმომადგენელი და ბევრი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, უკრაინის დევნილი მთავრობის თავმჯდომარე (ნ. პროკოპოვიჩი), აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩრდილოეთ კავკასიის ასევე დევნილი მთავრობების წარმომადგენლები, არგენტინის, ლუქსემბურგის, უნგრეთის, ესტონეთის, ლიტვის, რუმინეთის ელჩები, წაიკითხეს უამრავი სამძიმრის დეპეშა. 70-წლიანი საბჭოური ოკუპაციის მთელი პერიოდის მანძილზე წმ. ამბროსის სახელი, მის მიერ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად მებრძოლთათვის, განსაკუთრებით ამ უთანასწორო, მაგრამ წმინდათა წმინდა ბრძოლის უცხოელ

მხარდამჭერთათვის წარმოადგენდა უტყუარ მტკიცებულებას იმისა, რომ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა მსხვერპლი არა შიდა პროცესებისა, არა სახალხო რევოლუციისა, არამედ მოსახლეობის ნების წინააღმდეგ განხოციელებული გარეშე ინტერვენციისა, ოკუპაციისა და ანექსიისა, რომელსაც ქართველი ხალხი არ შეგუებია. ეს ყოველივე კი ჩვენი ქვეყნის უცხოელ გულშემატკივართათვის იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს, როგორც დაპყრობილი ქვეყნის, ბრძოლა თვითგამორკვევისათვის იყო სამართლიანი და იგი საერთაშორისო მხარდაჭერას იმსახურებდა. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის 1975წ. 13 მარტის სხდომა, რომელზეც თეთრი სახლის წინასწარი შეკვეთით ერთა თვითგამორკვევის საკითხზე ნახევარსაათიანი მოხსენებით გამოვიდა კონგრესმენი ჯოუ დევიდ ვაგონერი (1918-2007წწ.). მან კონგრესს გააცნო ამბროსი ხელაიას მემორანდუმის სრული ტექსტი და განაცხადა: „საქართველო პატარა ერია, რომელიც ბალტიური რესპუბლიკების მსგავსად ძალით შეიერთა საბჭოთა კავშირმა. 1922წ. 7 თებერვალს საქართველოს ძველი მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა ამბროსიმ ამაღლევებელი მოწოდებით მიმართა ცივილიზაციულ ქვეყნებს, რომლებიც მაშინ მონაწილეობას იღებდნენ გენუის საერთაშორისო კონფერენციაში... ამბროსი პატრიარქის მოწოდება ისეთივე აქტუალურია დღეს, როგორც 1922 წელს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ყველა იმ ერისთვის, რომელიც მიელტვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას”. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მემორანდუმი მოხსენიებულია აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სენატის 1989წ. 19 აპრილის 110 რეზოლუციაში „საბჭოეთის მიერ ანექსირებული საქართველოს შესახებ”, რომელიც ჯესი ალექსანდერ ჰელმსმა უმცროსმა (1921-2008წწ.) მოამზადა. სხვადასხვა ისტორიული და სამართლებრივი არგუმენტების მოშველიებით, რეზოლუცია, რომელიც ბევრ ჩვენთაგანს კარგად ახსოვს, მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნას. ერთ-ერთი არგუმენტი კი ასეთი იყო:

„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლი-

კოს-პატრიარქმა ამბროსიმ 1922 წელს მხარდაჭერისთვის მი-
მართა გენუის კონფერენციას, რათა საერთაშორისო საზოგა-
დლების ზეგავლენით საბჭოთა რუსეთს გაეყვანა ჯარები
საქართველოს რესპუბლიკიდან.”

ამრიგად, გარდაცვალების შემდეგაც კათოლიკოს-პატრი-
არქ ამბროსის სახელი, მისი უკვდავი სული, ისტორიულ მემო-
რანდუმში ჩადებული იდეა საქართველოს სახელმწიფობრივი
დამოუკიდებლობის აღდგენისა მოსვენებას არ აძლევდნენ
ოკუპანტებს, აგრძელებდნენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის დეოუ-
პაციისთვის და თავისუფლებისთვის.

ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ სათანადოდ დააფასა
უნმინდესი და უნეტარესი ამბროსის ღვაწლი ქვეყნისა და ეკ-
ლესის წინაშე. წმინდა სინოდის 1995წ. 17 სექტემბრის სხდომამ
მეუფე დანიელის (დათუაშვილი) მოხსენების საფუძველზე იგი
წმინდანთა დასში შერაცხა წმინდა აღმსარებლის სახელწოდებ-
ით. ხსენების დღედ 16 (29) მარტი დაწესდა. უფრო დიდი პატივი
ვიდრე წმინდანად შერაცხვა არ არსებობს, მაგრამ უნდა ვაღი-
აროთ, რომ ჩვენ მაინც ვალში ვართ წმ. ამბროსის ხსოვნის
წინაშე. ჯერაც არ შექმნილა მისი სრულყოფილი ბიოგრაფია,
არ არის ბოლომდე მოძიებული და გამოცემული წმინდანის
შრომები, თითქმის სამ ასეულზე მეტი ბრწყინვალე ქადაგება
და ა.შ. გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, აფხაზეთის ავტონო-
მიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავისი ა.წ.
12 ოქტომბრის სპეციალური დადგენილებით მოკრძალებით
სთხოვს უნმინდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კა-
თოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკო-
პოსს, ბიჭვინთისა და ცხეუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II
-ს 2011 წლის 19 ოქტომბრიდან მომდევნო ერთი წელი გამოცხ-
ადდეს წმინდა აღმსარებელი ამბროსის წლად. იმედი გვაქვს,
ჩვენი საზეიმო სხდომაც მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს
ინიციატივას. ამით მეტი სტიმული და უფრო ორგანიზებული
სახე მიეცემა წმინდა ამბროსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის
შემდგომ შესწავლა-პოპულარიზაციას.